ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯ ,,იმედის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფარმაცია” (სააფთიაქო) განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების, ავტორიზაციის
პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნინო თამაზაშვილი
წევრები:
ნანა ვერულაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი
კოლეჯ იმედი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს
საიდენტიფიკაციო კოდი:

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

■ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ გეგმიური

☐ არაგეგმიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 21 თებერვლის N 204005 და N204004 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ ,,იმედში“ დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" კომპონენტების და აგრეთვე ე) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ე.ა" და " ე.ბ" კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2023 წლის 13 მარტს განხორციელდა ვიზიტი შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედში (მის: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47/49 ბოჭორმის 8). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს,ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა		შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები		შეესაბამება

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულებას ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს ლაბორანტი, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,, ფარმაცია სააფთიაქო) ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას საგანმანათლებლო პროცესების ეფექტურობისა და პროფესიული სტუდენტების თანაბარი ჩართულობის უზრუნველსაყოფად ასისტირებას უწევს პროფესიული განათლების მასწავლებლებს. პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით პრაქტიკული მეცადინეობისათვის ამზადებს მასალა-ნედლეულს, უზრუნველყოფს ლაბორატორიაში არსებული ინვენტარისა და აღჭურვილობის მოვლას. ის ასევე ჩართულია შეფასების პროცესშიც. აღსანიშნავია, რომ ლაბორანტი გ.დ არის კოლეჯის ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული. მას ასევე აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ქიმიაში. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული არის საუკეთესო პრაქტიკა, ვინაიდან უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვას, გამოცდილების გაზიარებას და სტუდენტთა მოტივაციის გაზრდას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

-

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

-

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

5.2.3 მე- 4 ინდიკატორი

კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2023“, სადაც მოცემულია შემდეგი: კოლეჯის ისტორია, მისია, ხედვა და ღირებულებები; ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, პროფესიული სტუდენტის შეფასების, პროგრამების განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესახებ. ასევე მოცემულია სასწავლო გარემოს ფოტო-კოლაჟი. კატალოგში მოცემული ინფორმაცია რელევანტურია და ემსახურება დაინტერესებულ პირთათვის კოლეჯის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიწოდებას. ვინაიდან კატალოგი არის ორგანიზაციის სავიზიტო ბარათი, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, კატალოგში დაიტანოს ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია როგორიცაა: პროფესიული სტუდენტების, მათ შოტის სსსმ და შშმ სტუდენტების მხარდამჭერი სერვისები, კოლეჯის წარმატების მაგალითები, სხვადასხვა პროექტებში ჩართულობა, არაფორმალური აქტივობების განხორციელება და ა.შ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XI. სტანდარტების შეფასება

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანო ბა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

ვიზიტი განახორციელდა შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ ,,იმედში“ (მის: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47/49 ბოჭორმის 8) დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და ხელშეკრულება (2022 წლის 26 ივლისი N01/22), რომლის მიხედვითაც მოიჯარე შენობას დროებით სარგებლობაში (9 წლის ვადით) გადასცემს შპს მრავალპროფილიან კოლეჯ იმედს. კოლეჯმა წარმოადგინა აზომვითი ნახაზი რომლის მიხედვითაც არსებული ფართი განაწილებულია შემდეგნაირად. მთლიანი ფართობია 750 კვ.მ, ხოლო სართულების მიხედვით განაწილება შემდეგია:.

0 სართული -148.12კვ.მ

1 სართული - 201 კვ.მ

II სართული - 201.87 კვ.მ

III სართული - 199.01 კვ.

ზემოაღნიშნულ სართულებზე კეთილმოწყობილია შემდეგი სივრცეები:

- ფოიე;
- სამუშაო სივრცე ადმინისტრაციისათვის;
- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის/მასწავლებლებისათვის;
- ბიბლიოთეკა
- სველი წერტილები;
- სივრცე სტუდენტური აქტივობებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

 სივრცე პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის

 A, B და C გარემოები

 სანიტარიული კვანძები;

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულება, შესაბამისად გამოყოფილი სივრცეებით. შენობაში განთავსებული სველი წერტილები, პანდუსები, ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აუცილებელი საოფისე ინვენტარი. ასევე, სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო მაგიდები და სკამები, დაფები, პროექტორები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ,,მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“ (2022 წლის 21 დეკემბრის N 120 ბრძანებით), სადაც გაწერილია კოლეჯის საქმიანობისათვის ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვა, შენახვა და გამოყენების წესები, არსებული მატერიალური რესურსების სწორ განკარგვასა და მოვლა- პატრონობაზე პასუხისმგებელი პირია- მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის კოორდინატორი. მასთან გასაუბრებით დგინდება, რომ იგი მუდმივად ზრუნავს და აკონტროლებს მატერიალური რესურსის მოვლა-პატრონობის და შენახვის საკითხზე, ზედამხედველობს კოლეჯის ბალანსზე არსებული ქონების დაცვას და უზრუნველყოფს მის რაციონალურ გამოყენებას. ვიზიტის დროს, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათ აქვთ საშუალება საჭიროებისამებრ გამოიყენონ შესაბამისი მატერიალური რესურსი და საერთო სარგებლობის სივრცეები. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების დირექტორის 2021წლის 24 დეკემბრის N120 ბრძანებით დამტკიცებულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, სადაც გაწერილია სანიტარულ- ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები და პასუხისმგებლობა. ხელშეკრულება გაფორმებულია ორ პირთან (დამლაგებლები), მათ ფუნქცია მოვალეობით განსაზღვრული აქვთ არსებულ ფართზე სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც მოიცავს შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავებას, ქიმიური საშუალებების გამოყენებას მითითებული ინსტრუქციის შესაბამისად და ნარჩენების გატანას კოლეჯის შენობიდან. ექპერტთა მიერ ვიზუალური დათვალიერების შედეგად დასტურდება, რომ კოლეჯის ყველა ნაწილში, მათ შორის სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები.

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობის ოთხივე სართული აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით, დაწესებულებამ წარმოადგინა კომუნალური ხარჯების საგადახდო დავალების ქვითრები. კოლეჯში გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირება აგრეთვე დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით.

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 20 თებერვლის N 7 ბრძანებით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და გეგმა, აღნიშნული შემუშავებულია სამუშაო სივრცეში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისათვის. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს ,,ეიჩ ეს ი ჯორჯიას „- თან, რომელიც იღებს ვალდებულებას დამკვეთს გაუწიოს შრომის უსაფრთხოების საკითხებზე სრული მომსახურება. კომპანიის დირექტორის 2021 წლის 10 ნოემბრის N01-07 ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს შრომის უსაფრთხოების ორი სერთიფიცირებული სპეციალისტი შპს მრავალპროფილიანი კოლეჯ ,,იმედის“ ობიექტზე (ქეთევან დედოფლის გამზ. 47/49. ბოჭორმის 8). დაწესებულებამ წარმოადგინა სამუშაო ადგილზე ინსტრუქტაჟების რეგისტრაციის ჟურნალები, სადა პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები და ადმინისტრაციული პერსონალი ხელმოწერით ადასტურებენ ტრენინგებსა და ინსტრუქტაჟებში მონაწილეობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის 120 ბრძანებით დამტკიცებულ მატერიალური რესურსების განკარგვის წესი, სადაც გაწერილია საოფისე- სამეურნეო საქონლისა და სასწავლო მასალა- ნედლეულის შესყიდვა-გაცემის პროცედურები. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის რეგულაცია; ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება (2023 წლის 01 იანვრის N09/23) შპს ,,ექსპრეს დიაგნოსტიკასთან", რომელიც ვალდებულებას იღებს დაწესებულებაში შეგროვებული სარისკო ნარჩენების გაუვნებელყოფის სამუშაოების ჩატარებაზე. დაწესებულებამ ექპერტებს წარუდგინა მიღება - ჩაბარების აქტები მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სპეციალისტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელმოწერით მალა- ნედლეულის ჩაბარების შესახებ. ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლების სამსახურებრივი ბარათები მასალა-ნედლეულის ჩამოწერილის შესახებ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი მასალა-ნედლეულით ხდება შეუფერხებლად.

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის N120 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" სადაც გაწერილია რესურსების შეფასების პროცედურები, პერიოდულობა და პასუხისმგებელი პირები. აღნიშნული ითვალისწინებს მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის მუდმივ შეფასებასა და განვითარებას, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრუქტურირებული კითხვარი, რომლის საშუალებითაც ახდენს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვას. კვლევის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ჩატარებული კვლევის შედეგები, სადაც კოლეჯის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა შეფასებულია დადებითად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

შენობის აზომვითი ნახაზებით და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ კოლეჯის შენობაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

შენობის ყველა სართულზე არის სველი წერტილი, ხოლო პირველ სართულზე განთავსებულია სველი წერტილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისათვის. სველი წერტილები მოწესრიგებულია სათანადო დონეზე და დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები.

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებაში არსებულ სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილ სივრცეებს, მათ შორის ბიბლიოთეკას აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს სწავლის/მუშაობის შესაბამის პირობებს.

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

ვიზუალური დათვალიერების შედეგებიდან დგინდება რომ, დაწესებულებაში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. სასწავლო გარემოები და სამუშაო სივრცეები გადანაწილებულია ისე, რომ საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას ხელი არ შეეშალოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა დაწესებულების ბიბლიოთეკა რომელიც აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტ კავშირით. განთავსებულია სამუშაო მაგიდები, ლეპტოპები და ასლგადამღები. საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონულად, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად . სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათ მუდმივად აქვთ წვდომა ბიბლიოთეკაში არსებულ რესურსებზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის წესი (2021 წლის 24 დეკემბრის N120 ბრძანებით)
- სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები (2021 წლის 24 დეკემბრის N120 ბრძანებით)
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- მიღება ჩაბარების აქტები
- პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ჩატარებული კვლევის შედეგები
- პროფესიულ სტუდენტებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

დაწესებულებამ წარმოადგინა შპს "საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრის" დასკვნა. სადაც მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: (ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი No47/49-ში, ბოჭორმის ქ. No8-ში (ს.კ. 01.17.01.132.005.01.03.033)

1. შენობის ვიზუალური შემოწმებით დადგინდა, რომ მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მას არ გააჩნია ჯდენითი ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწვეული დეფორმაციის ნიშნები, რომლებიც უარყოფით გავლენას მოახდენდა მის კონსტრუქციების მდგრადობაზე. მზიდი კონსტრუქციები მდგრადია და აკმაყოფილებს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს. შენობა აშენებულია 8- ბალიანი სეისმური დატვირთვის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მრავალპროფილიანი საზოგადოებრივ კოლეჯს იმედი“-ს - დაკავებული აქვს შენობის პირველი სამი სართული და სარდაფის მთლიანი ფართი. დაკავებული ფართი აკმაყოფილებს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს. ყველა სართულზე გამოკრულია შენობის ევაკუაციის გეგმა და აგრეთვე არის დამონტაჟებული ცეცხლმქრობი მოწყობილობა;

3. საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხოება.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა შპს ,,სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს'' დასკვნა, რომელის მიხედვითაც დაწესებულების ხანძარსაწინააღმდეგო მდგრადობა სრულად შეესაბამება საქართველოს მთავრობის N370 დადგენილების - ტექნიკურს რეგლამენტს ,,სახანძრო უსაფრთხოების წესისა და პირობების შესახებ“ . ზემოაღნიშნულ ბიუროს მინიჭებული აქვს აკრედიტაცია სსიპ ,,აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს- აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ 2024 წლის 19 თებერვლამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

კოლეჯს შემუშავებული აქვს „პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები“, რომელიც არეგულირებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურებს. სასწავლო პროცესის სპეციალისტს დირექტორის 2022 წლის 01.04 N 20 ბრძანებით დაკისრებული აქვს ექთნის მოვალეობის შესრულება. დაწესებულებაში ვიზიტის დროს გადამოწმდა მისი პირადი საქმე, რის მიხედვითაც ზემოაღნიშნულ პირს უდასტურდება პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია. ადგილზე დათვალიერდა პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის ყველა საჭირო და აუცილებელი ინვენტარით. დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია როგორც ექთნის, ასევე საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ნომერი(112).

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2023 წლის 26 იანვრის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შპს მრავალპროფილიანი კოლეჯ ,,იმედის“ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

დაწესებულებამ წარმოადგინა წერილი შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის სახელზე, სადაც ითხოვს გეგმის შეთანხმებას ახალ მისამართზე (ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49/ბოჭორმის N8.) აღნიშნულის პასუხად 2023 წლის 30 იანვრის N 260413 კორესპონდენციით საგანგებო სიტუაციების სამსახური ადასტურებს გეგმის შესაბამისობას 2017 წლის 6 ოქტომბრის N452 დადგენილების მოთხოვნებთან.

გეგმაში გაწერილია საგანგებო სიტუაციაში შესასრულებელი მოქმედებების თანმიმდევრობა და პასუხისმგებელი პირები. გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს, თანამშრომლების, სტუდენტების და მატერიალურ ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას. კოლეჯში შექმნილია საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების შტაბი/ჯგუფი, რომლის წევრებსაც გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგი. კოლეჯი უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობას ყველა სტუდენტისათვის და თანამშრომლისთვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით. კოლეჯის ყველა შენობაში გამოკრულია სათანადო სტანდარტების შესაბამისი საევაკუაციო გეგმები, კოლეჯი აღჭურვილია ცეცხლმაქრებით და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემით. პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ჩაუტარდათ სასწავლო ინსტრუქტაჟი და საჭიროებისამებრ მიმართავენ პასუხისმგებელ პირებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება (17.10.2022წ. N 2269) შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან. რომელიც ვალდებულია განახორციელოს შპს მრავალპროფილიანი კოლეჯის ,,იმედი“ ქ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49/ბოჭორმის N8 მისამართზე პერიმეტრული და საგანგაშო სიგნალიზაციით დაცვა .

კოლეჯი უზრუნველყოფს კოლეჯის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო მეთვალყურეობას. კოლეჯის შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა უზრუნველყოფს კოლეჯის ყველა დერეფნის, შესასვლელისა (ფოიე) და კიბის უჯრედის ვიდეო დაკვირვებას და იქ მყოფი პირების იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. კოლეჯის გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა (ჩაწერის სისტემით) უზრუნველყოფს კოლეჯის გარე პერიმეტრის სრულად დაკვირვებას და იქ მყოფი პირების იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. ვიდეო კონტროლის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსებულია დაწესებულების მთელი ტერიტორიის თვალსაჩინო ადგილებზე. ვიდეოჩანაწერის ნახვის უფლება აქვს: დირექტორს, დაცვის თანამშრომელს/თანამშრომლებს, მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერსა და შრომის უსაფრთოხების სპეციალისტს.

შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების შემთხვევათა აღრიცხვის ჟურნალი;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ;
- დასკვნა შენობა -ნაგებობის მდგრადობის შესახებ;
- ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

 შენობა-ნაგებობის შიდა და გარე პერიმეტრის შემოწმების/დათვალიერების შედეგები.

 დათვალიერებისა და გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში IT ტექნოლოგიები აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში. იძლევა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის შესაძლებლობას. არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოთხოვნილი სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი. კოლეჯი იყენებს ელექტრონული სერვისების მართვის სისტემას, რომელშიც გაერთიანებულია სასწავლო პროცესის მართვის სერვისი. სასწავლო პროცესის სერვისში გათვალისწინებულია კოლეჯის პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების რეესტრი.

კოლეჯში ხელმისაწვდომია, როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი.

კოლეჯში IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირების ფასდება კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების განკარგვის წესის“ თანახმად, რომლის შესაბამისადაც, დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, რისთვისაც ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. ამასთან, კოლეჯი სისტემატიურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მონიტორინგს, რაც გულისხმობს როგორც მათ ტექნიკურ შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში, შეუსაბამობების
აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას. კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიის ბაზის შეფასების მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების დაცვის, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეუფერხებელი მიღწევისა და ადმინისტრაციის მუშაობის მდგრადობის უზრუნველყოფა.

დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შემოწმების/განახლების/შეკეთების (კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერი/სკანერი, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმება/აღრიცხვის განახლებადი დოკუმენტი 2022-2023 სასწავლო წლისათვის, სადაც განთავსებულია ინფორმაცია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლისა (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) და IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგებისა და შემდეგ მათზე რეაგირების შესახებ.

კოლეჯმა წარმოადგინა 2023 წლის თებერვალში ჩატარებული სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში, მათ შორის, IT ინფრასტრუქტურით სარგებლობასთან დაკავშირებით. გამოკითხულ იქნა 120 რესპოდენტი. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ კოლეჯში არის პროფესიულ სტუდენტთა განვითარებისათვის აუცილებელი IT ინფრასტრუქტურა და პროფესიული სტუდენტები შეუფერხებლად სარგებლობენ მისით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირება დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებითა და კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გზით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“, რომლის შესაბამისადაც, დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, რისთვისაც ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ხორციელდება რისკების მართვა, რაც აერთიანებს კოლეჯის პასუხისმგებელი პირების გადაწყვეტილებებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციის სტრატეგიულ დაგეგმვაზე, მმართველობასა და ყოველდღიურ ოპერირებაზე. ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა გულისხმობს: რისკების იდენტიფიცირებას, რისკების შეფასებას იმის მიხედვით, თუ რა შედეგები მოყვება მათ კოლეჯის ფუნქციონირებასთან მიმართებაში და მათი ხდომილების ალბათობა, ამ რისკების დადგომის ალბათობას და მათ შესაძლო შედეგებს, მათ შესახებ ინფორმირებულობის არსებობას, რისკებთან მოპყრობის პრიორიტეტულობის დადგენას, რისკების მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართულ დაინტერესებულ პირების განსაზღვრას და მათი ინფორმირებულობას რისკების მართვის სტატუსის შესახებ, რისკებისა და რისკების მართვის პროცესის რეგულარულ მონიტორინგსა და განხილვას, რისკების მართვისადმი მიდგომის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ინფორმაციის შეგროვებას, თანამშრომლების ინფორმირებულობას რისკებისა და მათი შემცირების გზების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“, რომლითაც განსაზღვრულია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. კოლეჯის მიერ პირთა პერსონალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების მიზნით წარმოდგენილია პერსონალის თანხმობის ფურცლები, კოლეჯის მიერ მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენების გზით დაადგინა, რომ კოლეჯში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ 5.5. პუნქტის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯი უზრუნველყოფს ადამიანური, საინფორმაციო, ფინანსური და მატერიალური რესურსების შეფასებას და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს საბიბლიოთეკო რესურსების, სასწავლო რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური რესურსების განსაზღვრის და მხარდაჭერის პოლიტიკას, წესებს, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2023 წლის თებერვალში ჩატარებული კმაყოფილების კვლევების შედეგები და ანალიზი, რომლის შესაბამისადაც შეფასდა პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლებისა და დაწესებულების პერსონალის კმაყოფილება საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის მიმართულებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების განკარგვის წესის“ 7.5. პუნქტის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში ხელმისაწვდომია კაბელიანი და უკაბელო ინტერნეტი. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და მომსახურების გაწევაზე პასუხისმგებელია IT მენეჯერი. კოლეჯმა წარმოადგინა ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება.
დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2023 წლის თებერვალში ჩატარებული კმაყოფილების კვლევების შედეგები და ანალიზი, რომლის შესაბამისადაც გამოიკვეთა, რომ კოლეჯში არის პროფესიულ სტუდენტთა განვითარებისათვის აუცილებელი IT ინფრასტრუქტურა და კოლეჯის პროფესიული სტუდენტები შეუფერხებლად სარგებლობენ მისით.

პროფესიული სტუდენტების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით ან სატელეფონო ან პირისპირ კომუნიკაციით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად დაწესებულება ახალი თანამშრომლის სამსახურში მიღების ან სტუდენტის/მსმენელის რეგისტრაციის მომენტში ახორციელებს ინფორმირების ერთიანი საკომუნიკაციო ბაზების შევსებას, საჭიროების შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტის მისამართების გახსნის მომსახურეობას. თანამშრომელი სამსახურში მიღების ან სტუდენტი/მსმენელი რეგისტრაციის მომენტში ხელს
აწერს თანხმობას, რომ მის მიერ მითითებული ელექტრონული მისამართი წარმოადგენს მასსა და კოლეჯს შორის ინფორმაციის მიმოცვლის ოფიციალურ გზას და აღნიშნულ მისამართზე კოლეჯის მხრიდან გაგზავნილი ყველა სახის ინფორმაცია ჩაითვლება მიწოდებულად. თანამშრომელი სამსახურში მიღების ან სტუდენტი/მსმენელი რეგისტრაციის მომენტში განცხადებაზე ხელმოწერით იღებს ვალდებულებას, რომ ელექტრონული ფოსტის ცვლილების შემთხვევაში არაუგვიანეს ერთი დღისა შეატყობინებს კოლეჯს აღნიშნულის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან განხორციელებული ინტერვიურებისას დადასტურდა კოლეჯის ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის ეფექტიანი მუშაობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შემოწმების/განახლების/შეკეთების (კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერი/სკანერი, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმება/აღრიცხვის განახლებადი დოკუმენტი 2022-2023 სასწავლო წლისათვის;
3. 2023 წლის თებერვალში ჩატარებული კმაყოფილების კვლევის ანგარიში, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა საგანმანათლებლო გარემოს, კოლეჯის ინფრასტრუქტურის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკურ, საგანმანათლებლო რესურსებთან დაკავშირებით;
4. ინტერნეტ-პროვაიდერებთან (სს „სილქნეტი“, შპს „მაგთიკომი“) გაფორმებული ხელშეკრულება;
5. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
6. კოლეჯის ინფრასტრუქტურის დათვალიერებისა და პასუხისმგებელ პირებთან, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“, რომელიც არეგულირებს არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებსა და პროცედურებს, ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის სისტემას, დოკუმენტების მოძრაობას მათი მიღების ან შექმნის მომენტიდან საბოლოო შესრულებამდე, გაგზავნამდე ან საქმეში მოთავსებამდე, დოკუმენტების დაარქივებას და დოკუმენტების განადგურების პროცედურებს.
კოლეჯის საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დებულებები არაა წინააღმდეგობაში საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ დებულებებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის (შემდგომში - სისტემა) საშუალებით, შესაბამისი პროგრამის -,,eflow”-ის მეშვეობით. ელექტრონული საქმისწარმოება გულისხმობს დოკუმენტის მიღებას, დამუშავებას, რეგისტრაციას, მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას, ადრესატისათვის დაუყოვნებლივ გადაგზავნას და შენახვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც გაწერილია კოლეჯის მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოების პირობები. დირექტორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბრძანებით რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერ, რომელიც უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ადმინისტრირებას და როგორც პროფესიულ სტუდენტთა შესახებ, ისე კოლეჯის საქმიანობისთვის აუცილებელი ინფორმაციის ასახვას evet.emis.ge სისტემაში.
ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია. კოლეჯის მიერ პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის შესახებ ინფორმაცია ასახულია სრულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“, რომელიც არეგულირებს დოკუმენტების და დავალებების შესრულების კონტროლისა და დოკუმენტის შესრულების ვადებს, მათ შორის განსაზღვრულია დოკუმენტის და დავალების შესრულების კონტროლის პროცედურებს, დოკუმენტის შესრულების ვადებს, დოკუმენტის შესრულების ვადების კონტროლის მექანიზმებს.
კოლეჯში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა კოლეჯის მიერ მიღებული და გაცემული კორესპონდენციები, რითაც დადასტურდა დაწესებულების მიერ კორესპონდენციის შესრულების ვადების დაცვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“;
4. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
5. პროფესიული განათლების მართვის სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია;
7. კოლეჯის პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდია: https://www.imediprof.edu.ge/ და სოციალური ქსელი - ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/imedicollege .
ვებგვერდზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, დაწესებულების საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტები, ინფორმაცია კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ და ა.შ. კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებისას გათვალისწინებულია ინფორმაციის გონივრულ ვადებში მიღების ინტერესი; ვებგვერდის ნავიგაცია მარტივია, ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში.
ვებგვერდს, ისევე, როგორც დაწესებულების ფეისბუქ გვერდს, გააჩნია როგორც საინფორმაციო, ასევე საკომუნიკაციო ფუნქცია.
კოლეჯის მიერ წარმოდგენილია დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

დაწესებულების მისიაა: კოლეჯი იმედი არის მრავალპროფილიანი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების, სახელმწიფოს პრიორიტეტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება; მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობის ხელშეწყობა; პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე/თანამშრომლებზე ორიენტირებული თანამედროვე სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა; კოლეჯსა და რეალურ ბიზნესს შორის მყარი, ურთიერთეფექტური თანამშრომლობის მექანიზმების განვითარება; შეთავაზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საზოგადოების მოთხოვნებთან და შრომის ბაზართან ჰარმონიზაცია. მისიაში არ არის განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, ამდენად დაწესებულებას არ აქვს უცხოენოვანი ვებგვერდი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, პარტნიორობის და სხვა არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება.
კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯი უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2023“, სადაც მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: კოლეჯის ისტორია, მისია, ხედვა და ღირებულებები; ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, პროფესიული სტუდენტის შეფასების, პროგრამების განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესახებ. ასევე მოცემულია ფოტო-კოლაჟი. კატალოგში მოცემული ინფორმაცია რელევანტურია და ემსახურება დაინტერესებულ პირთათვის კოლეჯის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიწოდებას. ვინაიდან კატალოგი არის ორგანიზაციის სავიზიტო ბარათი, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, კატალოგში დაიტანოს ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია როგორიცაა: პროფესიული სტუდენტების, მათ შოტის სსსმ და შშმ სტუდენტების მხარდამჭერი სერვისები, კოლეჯის წარმატების მაგალითები, სხვადასხვა პროექტებში ჩართულობა, არაფორმალური აქტივობების განხორციელება და ა.შ

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად, რის დასტურადაც კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი, 2020, 2021, 2022 წლები, კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2023.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“, რომლის შესაბამისადაც, კოლეჯი თავისი საქმიანობის წარმოსაჩენად ახორციელებს შემდეგ აქტივობებს: ავრცელებს კოლეჯის სახელით ოფიციალურ მიმართვებსა და განცხადებებს, ხელს უწყობს პროფესიული განათლების/საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზებას, ხელს უწყობს კოლეჯის პროგრამის განმახორციელებელი პირების და პერსონალის პოპულარიზაციას, აორგანიზებს და აწყობს საზოგადოების წარმომადგენლების, ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან შეხვედრებს, აწარმოებს შიდასაორგანიზაციო კომუნიკაციას, გეგმავს და ახორციელებს კოლეჯში კულტურულ-შემოქმედებით, ექსტრაკურიკულურ აქტივობებს, მართავს კოლეჯის ვებ-გვერდსა და ოფიციალურ გვერდს სოციალურ ქსელში, სადაც მუდმივად აახლებს ინფორმაციას, აწყობს პრესკონფერენციებს/სემინარებს და სხვა ღონისძიებებს კოლეჯის საჭიროების შესაბამისად, საჭიროების შესაბამისად ამზადებს/ავრცელებს სარეკლამო მასალებს, ხელს უწყობს აპლიკანტების/პროფესიული სტუდენტების/მსმენელების/თანამშრომლების/-დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას, ამყარებს პარტნიორულ ურთიერთობებს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან, მოიძიებს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ კომპანიებს/ბაზებს და აფორმებს მათთან ხელშეკრულებებს/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებს, ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა დასაქმებას, ინფორმაციის გავრცელებისას იცავს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, აკონტროლებს, რომ გავრცელებული ინფორმაცია იყოს უტყუარი და არ იყოს შეცდომაში შემყვანი, კოლეჯი ახორციელებს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში განხორციელებული უკუკავშირის ანალიზს, რათა გამოვლენილი შედეგები გამოიყენოს მისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირს, რომელმაც სრულფასოვნად აღწერა კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის მიდგომები, დაასახელა ცალკეული მაგალითები, როდესაც დაინტერესებული პირების მიერ მიღებულ იქნა ინფორმაცია/შეტყობინება კოლეჯის ცალკეული პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით, რაც კოლეჯმა გაითვალისწინა თავის საქმიანობაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.6 დაკმაყოფილებულია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს კოლეჯი იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდია: https://www.imediprof.edu.ge/ და სოციალური ქსელი - ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/imedicollege ;
2. დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტები;
3. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2023;
5. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი 2020, 2021, 2022 წლები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის № 120 (ცვლილება 31.01.2022 წლის N 8 ბრძანებებით; ბოლო ცვლილება შეტანილია მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დირექტორის 2022 წლის 30 დეკემბერის N 84 ბრძანებით)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47/49 ბოჭორმის 8

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	144
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

კოლეჯს ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მიზნებისთვის აქვს სამი AC (ფარმაციის კაბინეტი/ქიმიურ-ტექნოლოგიური/აფთიაქის მოდელი; ქიმიურ -ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ლაბორატორია; სამედიცინო კაბინეტი) და 2 B (პროგრამის მოთხოვნების მიხედვით აღჭურვილი) გარემო სასწავლო გარემოს მოდელი ორი AC გარემო - ქიმიურ-სააფთიაქო-ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ბლოკი და - განკუთვნილია 26-26 პროფესიული სტუდენტისათვის. AC გარემოში განთავსებულია: მონიტორი, სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი კარადა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის, საშრობი კარადა, მაცივარი, სითხოვანი წამალთფორმების დასაფასოებელი ჭურჭელი თავსახურებით (სხვადასხვა მასალის, ზომის და ფერის), სამკურნალო მცენარეული ნედლეულის წყლის შთანთქმის კოეფიციენტების ცხრილები, ალკოჰოლომეტრული ცხრილები, ხსნარის მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტების ცხრილები. მაგიდები და სკამები სტუდენტებისა და მასწავლებლისთვის. ლაბორატორიაში გამოკრულია მუშაობის უსაფრთხოების წესები,
ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოხდა სამივე AC გარემოში განთავსებული მატერიალური რესურსის შერჩევით დათვალიერება. დაწესებულებამ წარმოადგინა მატერიალური რესურსების ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია. B გარემოში (აუდიტორია N16 და N11) განთავსებულია 28-28 პერსონალური კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის და დემონსტრირების საჭირო აღჭურვილობა. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აუდიტორიების დატვირთვის სქემები. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 144 სტუდენტზე.
დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ ფარმაცევტულ კომპანიებთან: „ჰსპ ფარმა“, „გეფა“ და „იმპექსი“. ხელშეკრულებას თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების ჩამონათვალი (8 მოდული) და ამ მოდულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა. ასევე, მითითებულია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, პრაქტიკისთვის გამოყოფილი საათები და სხვა ინფორმაცია. პრაქტიკის ობიექტზე განხორციელდება შემდეგი მოდულები:
ა)მომხმარებლისთვის მცენარეული ცხოველური და მინერალური ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა; ბ)მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/ საშუალებების შერჩევა;
გ)მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის საშუალებების შერჩევა;
დ) მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/ საშუალებების შერჩევა;
ე) მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში;
ვ) პროდუქციის მიღება -განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება;
ზ) ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები;
თ) მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 144 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 30 პროფესიული განათლების მასწავლებელი, შორის 20 დარგის სპეციალისტი, 2 ქართული ენის და 8 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი. დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებელთა დატვირთვის ფორმები, რომელის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ფარმაცია (სააფთიაქო) განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა მიერ შემოწმდა მათი პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია) დოკუმენტაციის შემოწმებისა და გასაუბრებით დგინდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების კუთხით, მონაწილეობდნენ მოდულების ადაპტირებაში.
დოკუმენტაციის ანალიზით და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რომლებიც დანიშნულია ბრძანებით. ხელშეკრულების დანართში გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმე (კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). ინტერვიურების, პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქციის და შიდა მიმოწერის, ანგარიშებისა და სხვა სახის დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელიც და თანახელმძღვანელიც არიან დარგის სპეციალისტები, რომლებიც პროგრამის სრულყოფის მიზნით ამოწმებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, ჩართულები არიან საორგანიზაციო საკითხებში, ამოწმებენ სტუდენტთა პრაქტიკულ მოდულებს პრაქტიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ობიექტებზე. აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის განვითარებაში, ორგანიზებას უწევენ კალენდარული გეგმების მომზადებას. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შერჩევითად იქნა გადამოწმებული საგანმანათლებლო რესურსი. პროფესიულ საგანმანათლებლო

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა საბიბლიოთეკო რესურსის არსებობა კოლეჯის ბიბლიოთეკაში. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, დარგობრივი ლიტერატურა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა და ვიზუალურად დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. ბიბლიოთეკაში პროფესიული სტუდენტების სამუშაოდ განთავსებულია მაგიდა და ინტერნეტში ჩართული ორი ლეპტოპი. დაწესებულების ბიბლიოთეკაში შემთხვევითი შერჩევით გადამოწმდა სასწავლო რესურსები. დაწესებულების ბიბლიოთეკაში დაცული სასწავლო რესურსები შეესაბამება მოდულებით განსაზღვრულ სასწავლო ლიტერატურას. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ კოლეჯის სამკითხველო დარბაზში.

დაწესებულებამ საკუთარი ხარჯებით გამოსცა ,,ფარმაკოლოგიის“ სახელმძღვანელო, რომელიც წარმოადგენს დამხმარე მასალას პროფესიული სტუდენტებისათვის. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს აღნიშნულ სახელმძღვანელოში თავმოყრილია ყველა საჭირო თემატიკა ,,ფარმაკოლოგიის“ მოდულისათვის და სტუდენტებს არ სჭირდებათ თითოეული თემის მიხედვით სხვადასხვა რესურსში ინფორმაციის მოძიება.

ექსპერტების მხრიდან კოლეჯის პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება ისარგებლონ სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

„საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში“ გაწერილია სსსმ პირების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სასწავლო რესურსებისა და გარემოს ადაპტირების საკითხები. კოლეჯს აქვს მზაობა მათ მისაღებად. სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; მათთვის სასწავლო პროცესი წარიმართება მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ამ ეტაპზე პროგრამაზე სსსმ პირები არ ირიცხებიან.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 11 პროფესიულ სტუდენტს. დათვლილია მიღებული შემოსავლები და ხარჯები. შემოსავლების მთავარი წყარო სწავლის საფასური - ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება და პროგრამის სასწავლო მასალების, მასალა-ნედლეულის ღირებულება კომუნალური და სხვა ხარჯი აქედან გამომდინარე დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 „საქმისწარმოების წესი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯ იმედის ქიმიურ -ტექნოლოგიურ, ბიოლოგიურ ლაბორატორიაში უსაფრთხო მუშაობის წესების დაცვის წესის შესახებ“. (შრომითი ხელშეკრულება N01/07/2021 ეიჩ-ეს-ი ჯორჯიასთან ს/კ 405352719 ბრძანება #01/07-2021/2 10.11.2022წ););
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების შესახებ
- „მატერიალური რესურსის განკარგვის წესი“2021 წლის 24 დეკემბრის №120
- პრაქტიკის ხელშეკრულებით; (ხელშეკრულება N11/23 „იმპექსთან“; ხელშეკრულება N 2018/01 19-18 „პსპ ფარმასთან“ ხელშეკრულება N08/23მმ“გეფასთან“)
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროგრამის თანახელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- განმახორციელებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

დაწესებულების მიერ დამტკიცებული ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯის მიერ შემუშავებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების კომპონენტი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობით პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის, ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები, კოლეჯის სასწავლო პროცესის წარმომადგენლებსა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მოქმედებს არსებული რეგულაციების თანახმად და რეაგირებს პროფესიული სტუდენტების შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო გეგმები პროგრამის კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით გონივრული ხანგრძლივობითაა შედგენილი, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ცხრილის შეცვლა და პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება.

ვიზიტის დროს, პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. მოდულებში გამოკვეთილია სწავლის თანამედროვე მეთოდები პრაქტიკის ობიექტები და დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის თანამედროვე მიდგომებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების წესი და, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შემდეგ შემთხვევი: ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისთვის (სსსმ პირებისთვის), ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ), გ) სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ), დ) მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საჭიროება არ დამდგარა. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ფარმაცევტულ დაწესებულებასთან („პსპ ფარმა-სთან“, „გეფასთან“ და „იმპექსფარმთან“, რომლებიც საერთო ჯამში უზრუნველყოფენ 144 პროფესიული სტუდენტის (ერთჯერადად) პრაქტიკის ობიექტზე შემდეგი მოდულების გავლას:

ა)მომხმარებლისთვის მცენარეული ცხოველური და მინერალური ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა;

ბ)მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/ საშუალებების შერჩევა;

გ)მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის საშუალებების შერჩევა;

დ) მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/ საშუალებების შერჩევა;

ე) მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში;

ვ) პროდუქციის მიღება -განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზ) ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები;

თ) მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება;

პრაქტიკის ხელშეკრულებებში განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა მისაღები რაოდენობა, მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, მოდულები, საათობრივი დატვირთვა, მხარეთა ვალდებულებები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება. ხელშეკრულებაში გაწერილია კოლეჯსა და პარტნიორს შორის კოორდინაციის საკითხები. დაწესებულებაში ვიზიტისას გადამოწმდა პარტნიორ ორგანიზაციებთან ელექტრონულ ფოსტაზე მიმოწერა. დაწესებულებამ წარმოადგინა, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის მიზნით, პრაქტიკის ობიექტებთან განხორციელებული შეხვედრების დამდასტურებელი მტკიცებულებები.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია(სააფთიაქოს) ფარგლებში შემუშავებული აქვს უსაფრთხოების წესი. გამოკრულია უსაფრთხოების წესები ქიმიურ ლაბორატორიაში, ქიმიურ ნივთიერებებთან უსაფრთხოდ მუშაობის წესები, უბედური შემთხვევის დროს მოქმედების წესები. აღნიშნულ გარემოში განთავსებულია გამწოვი კარადა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მაქსიმალურ უსაფრთხოებას. დაწესებულება სისტემატიურად ახდენს უსაფრთხოების საშუალებათა/პირადი დაცვის საშუალებათა შეძენას, რაც დასტურდება შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს ქიმიური და ფარმაცევტული ნარჩენების შეგროვებას. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს - სამედიცინო არასახიფათო და სახიფათო (გარდა რადიაციული) ნარჩენების გაუვნებელყოფის სამუშაოებს (სპეციალურ კონტეინერებში განთავსება, სპეც. მანქანით ტრანსპორტირება საბოლოო დანიშნულებამდე და თერმული დამუშავება). დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის დამტკიცებული აქვს დოკუმენტი - „ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხო წესები“, რომელიც მოიცავს ქიმიურ ლაბორატორიაში და ქიმიურ ნივთიერებებთან უსაფრთხოდ მუშაობის წესებს, აგრეთვე უბედური შემთხვევების დროს რეაგირების/პირველადი დახმარების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქიმიური/ფარმაცევტული ნარჩენების მართვის, ხანძარსაწინააღმდეგო წესებს. ამრიგად, დაწესებულების სამუშაო გარემოში დაცულია უსაფრთხოების წესები დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ფარმაცია (სააფთიაქო)“ , სასწავლო გეგმები, კალენდარული გეგმები;
- პრაქტიკის ხელშეკრულებით; (ხელშეკრულება N11/23 „იმპექსთან“; ხელშეკრულება N 2018/01 19-18 „პსპ ფარმასთან“ ხელშეკრულება N08/23მმ“გეფასთან“)
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯ იმედის ქიმიურ -ტექნოლოგიურ, ბიოლოგიურ ლაბორატორიაში უსაფრთხო მუშაობის წესების დაცვის წესის შესახებ“. (შრომითი ხელშეკრულება N01/07/2021 ეიჩ-ეს-ი ჯეორჯიასთან ს/კ 405352719 ბრძანება #01/07-2021/2 10.11.2022წ););
- შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯ იმედის დირექტორის 19.02.2021წ. ბრძანებით N „01-04“ საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება. ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაცია;
- შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯ იმედის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის N120 ბრძანებით შემუშავებული „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“
- ვიზუალური დათვალიერება;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის მე-8 თავში ,,სწავლის შედეგების დადასტურების წესი და პროცედურა“ გაწერილია ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასებასთან დაკავშირებით. კერძოდ, შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება განმეორებითი შეფასების დროს, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი.

დაწესებულებაში ვიზიტისას შერჩევითად გადამოწმდა შეფასების პროცესთან დაკავშირებული მტკიცებულებები. შეფასების ინსტრუმენტები ვალიდირებულია როგორც დარგის, ასევე განათლების ვალიდატორის მიერ. შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ყველა იმ სავალდებულო ინფორმაციას, რაც გაწერილია მარეგულირებელი დოკუმენტით. დაცულია ასევე უწყისის გაფორმების წესიც.

პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესი მიმდინარეობს თანაბარ პირობებში და შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას იღებენ ინდივიდუალურად.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ მიხედვით შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, რომლის წარმართვაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული არიან პროგრამის განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და სხვა პირები საჭიროების შესაბამისად.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები, კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაცია ხორციელდება პროგრამის დასრულების შემდეგ. კოლეჯის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით შიდა ვერიფიკატორი შეიძლება იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, იმავე პროგრამის სხვა მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია. ვერიფიკატორი შემოწმების ანგარიშს წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა წარმოადგინა 2022 წელს ჩატარებული შეფასების სისტემის შემოწმების ანალიზი - ,,შეფასების სისტემის ვერფიკაციის დასკვნა“ სადაც ჩანს, რომ დაწესებულებამ ჩაატარა ვერიფიკაცია 5 პროგრამის ფარგლებში, შეადგინა რისკ ფაქტორები, მოიწვია გარე ვერიფიკატორები და შედეგები ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა რეკომენდაციები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 69-ე მუხლით განსაზღვრულია შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვისა და განკარგვის წესი, რომლის თანახმადაც, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა ინახება კოლეჯში სასწავლო პროცესის მენეჯერთან მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით, ხოლო საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების შემდგომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და ოქმები ინახება უვადოდ. დაწესებულებამ წარმოადგინა ელექტრონული ბაზა, სადაც ხდება მტკიცებულებებისა და უწყისების აღრიცხვა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია, პროფესიული სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების შეტყობინების ვალდებულება. პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები შეფასების შედეგების გაცნობისას ინდივიდუალურად უწევენ კონსულტაციას დაშვებული შეცდომებისა და გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებული

დასტურდება

(მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“, სასწავლო გეგმა, მოდულები;
- დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებული „ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (მუხლი 5.4.; --5.5.1---9) რეგულაციები შეფასების სისტემის თაობაზე;
- შიდა ვერიფიკაციის წესი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სასწავლო პროცესის მენეჯერი სამუშაო აღწერილობა
- შიდა ვერიფიკაციის დასკვნები/ანგარიშები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები
- შეფასების ინსტრუმენტები და შეფასების მტკიცებულებები;
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

04.04.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: